მოდული 16: ტრენინგის შეფასება

ამოცანები: სესიის ბოლოს მონაწილეებმა უნდა შეძლონ:

1. მათ მიერ ოჯახის დაგეგმვის კონცეფციის ცოდნის განსაზღვრა და სემინარის დაწყებამდე არსებულ ცოდნასთან შედარება;
2. ტრენინგის ეფექტურობის შეფასება;

განსაზღვრული დრო: 45 წ

ტრენინგის მეთოდები:
- პოსტ- ტესტი (პოსტ-ტესტი),
- სემინარის შეფასება,
- დისკუსია.

ტრენინგის მასალები:
<u>დასარიგებელი მასალა:</u>
- პოსტ- ტესტი (პოსტ-ტესტი),
- ტრენინგის შესაფასებელი ფორმა.

ინსტრუქციები

I. **პოსტ-ტესტი** (30 წუთი)

შეაჯამეთ ტრენინგი სემინარის ზოგადი მიზნების გახსენებით და ოჯახის დაგეგმვის კონსულტირების ეფექტურ განხორციელებაზე ფოკუსირებით.

ახსენით, რომ პოსტ-ტესტი ერთ-ერთი საშუალებაა მონაწილეთათვის იმის შესაფასებლად, თუ რა ისწავლეს სემინარზე. რა თქმა უნდა, მონაწილეები სემინარის პროცესშიც გაიგებდნენ, თუ რა იყო მათთვის უკვე ნაცნობი და რა იყო ახალი. ხაზი გაუსვით მუდმივი პრაქტიკის მნიშვნელობას მათი კომპეტენციის გაუმჯობესებისთვის ოჯახის დაგეგმვის სერვისის განხორცილებაში.

დაარიგეთ პოსტ- ტესტი და თხოვეთ მონაწილეებს მისი შევსება.

II. **ტრენინგის შეფასება** (15 წუთი)

აუხსენით მონაწილეებს, რომ მათ მიერ ტრენინგის შეფასება (მათი შთაბეჭდილებები, რექციები და იდეები) ძალიან მნიშვნელოვანია შეფასების პროცესში და დაეხმარება ტრენერებს, გააუმჯობესონ ოჯახის დაგეგმვის ტრენინგი მომავალში.

დაარიგეთ სემინარის შეფასების ფორმა და თხოვეთ მონაწილეებს მისი შევსება.

მას შემდეგ, რაც ყველა შეავსებს და დააბრუნებს შეფასების ფორმას, კითხეთ ჯგუფის წევრებს, თუ აქვთ რაიმე კომენტარი/უკუკავშირი, რომლის გაზიარება და/ან განხილვა სურთ ჯგუფთან ერთად.